

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება

გვსურს, გამოვეხმაუროთ ამა წლის 19 სექტემბრის პრეზიდენტის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას. პრეზიდენტის განცხადებით, მკაცრად უნდა დაისაჯოს პატიმრების წამებაში უშუალოდ ჩართული რამდენიმე პირი და უნდა გატარდეს გარკვეული ზომები პენიტენციურ სისტემაში, რაც ამ ეტაპზე დროებით ღონისძიებად გულისხმობს პატრულის თანამშრომელთა შეყვანას სასჯელაღსრულების ძირითად

დანესებულებებში.

მიგვაჩნია, რომ გაუღერებული ზომები არ არის საკმარისი და პროპორციული რეაგირება ადამიანის უფლებების დარღვევის იმ შემთხვევაზე და სისტემურ ფაქტებზე, რომლის თვითმხილველიც საზოგადოება ბოლო დღეების განმავლობაში გახდა. ჯერ კიდევ არ დამდგარა იმ მაღალი თანამდებობის პირთა პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომელთა სახელებიც უშუალოდ უკავშირდება პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებათა დარღვევის მასიურ შემთხვევებს. აღნიშნულ საკითხებზე ყურადღება არ გაუმახვილებია არც საქართველოს პრეზიდენტს. ასევე, გამოძიება არ დაინტერესებულა იმ თანამდებობის პირების ბრალეულობის საკითხით, რომლებიც თავად იყვნენ ჩართული არაადამიანური მოპყრობის ფაქტებში ან გულგრილად ეკიდებოდნენ დაკისრებულ პასუხისმგებლობას და რეაგირების გარეშე ტოვებდნენ არსებულ შემთხვევაზე შემთხვევებს.

უფრო მეტიც, პრეზიდენტის განცხადების თანახმად, სასჯელაღსრულების დანესებულებების დროებითი ზედამხედველობა ფორმალურად დაევალა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომლის ხელმძღვანელის სახელი უშუალოდ უკავშირდებოდა პენიტენციურ სისტემაში არაადამიანური მოპყრობის მეთოდების დამკვიდრებას და ადამიანის უფლებების უხეშ და მასიურ დარღვევებს. აღნიშნული დასტურდება სახალხო დამცველის ანგარიშებით.

პირველ რიგში, მოვითხოვთ, ხელისუფლება სრული პასუხისმგებლობით მოეკიდოს არსებულ ვითარებას და გაატაროს ადეკვატური და პროპორციული ზომები. აუცილებელია დადგეს შინაგან საქმეთა მინისტრის, იუსტიციის მინისტრის და მთავარი პროკურორის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რათა მათ არ მოახდინონ გავლენა გამოძიების მიმდინარეობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლების მიერ განხორციელებულ გამოძიება ვერ ისარგებლებს საზოგადოების ნდობით.

ამას გარდა, კვლავაც მოვითხოვთ:

- გამოძიება დაინტერესდეს დაკავებულ პირთა გარდა სხვა თანამდებობის პირების, მათ შორის სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრის და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრალეულობის საკითხით, რადგან, შეუძლებელია, ამგვარი სისტემური ხასიათის დანაშაულის არსებობის პირობებში, ეს ფაქტები მათთვის ცნობილი არ ყოფილიყო;

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



- უზრუნველყოფილ იქნეს იმ პირებისა და მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოება და დაცვა, რომლებმაც გამოააშკარავეს წამების ფაქტები და მისი ამსახველი ვიდეო მასალა გახადეს საჯარო;
- ჩატარდეს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიება არასათანადო მოპყრობის ყველა სხვა ფაქტზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში. ამასთან, გამოძიება უნდა წარიმართოს ანგარიშვალდებულებისა და საჯაროობის პირობებში, რათა უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოების ნდობა;
- უზრუნველყოფილ იქნას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მონიტორინგის ალტერნატიული მექანიზმების დაშვება.